ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის კომისია

სხდომის ოქმი №3

ზუგდიდი

17.05. 2022 წელი

2022 წლის 17 მაისს ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის (2022 წლის 21.03 ბრძ.№24. 242208016) კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის თავჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
- **კობა ჯიქია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
- **ხათუნა დარასელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

- **ლაშა ჯიქია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **დავით შამათავა**-ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი- კომისიის წევრი.
- **ია ეხვაია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ნინო სიჭინავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.
- **ნათია ფიფია**- ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი-კომისიის წევრი.
- **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის 4 წევრი.

- **კონსტანტინე კაკავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
- **ლექსო თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

- **მაია ჩიტაია** --ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე-კომისიის წევრი.

კომისიის მდივანი: ბელა ხუბუა

სხდომის თავმჯდომარე : ზამირა ღადუა

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

დღის წესრიგი:

მისალმება:

1. განსახილველად შემოგვაქვს კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის ვიქტორია გუგუჩიას განცხადება. ვიქტორია Erasmus+ ის პროგრამის ფარგლებში იმყოფება გერმანიაში და სწავლობს იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტში. ვიქტორია ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.
2. განსახილველად შემოგვაქვს კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ლინდა ჯიქიას განცხადება. ლინდა არის ხატვის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული. ის გეგმავს პერსონალური გამოფენის მოწყობას. მომავალში ლინდას დაგეგმილი აქვს ხატვის საფუძვლიანი სწავლა გერმანიაში. ლინდა ითხოვს სახატავი მასალის შესაძენად ფინანსურ ხელშეწყობას.
3. განსახილველად შემოგვაქვს დავითიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ბაუმანის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის უტა ალანიას განცხადება. უტა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

მოისმინეს:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო შემოსული განცხადებები.

აზრი გამოთქვა:

ზამირა ღადუა- დღევანდელი შეკრების მიზეზია ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება და მათი მოტივაციის ამაღლება.

ზაზა გაბისონია- ამ კომისიამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა. მე როგორც კომისიის წევრი ყველა მათგანის განვითარებას და წინსვლას ვუჭერ მხარს. წარმოდგენილ განცხადებებს გავეცანი და ყველა მათგანი იმსახურებს მხარდაჭერას.

ლაშა ჯიქია- ჩემთვის დიდი პატივია ვიყო ამ კომისიის რიგითი წევრი. გავეცანი განცხადებებს და ვფიქრობ, რომ ყველას აქვს შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი განსაკუთრებული შსაძლებლობა და გაზარდოს მოტივაცია შემდგომი წარმატებების მისაღწევად. მხარს ვუჭერ წარმოდგენილი განცხადებების ავტორების მოთხოვნას ფინანსური და მატერიალური ხელშეწყობის შესახებ. უტა ალანიას შემთხვევაში ჩემი აზრით საჭიროა ვიცოდეთ ინფრომაცია მისი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დიპლომს აღიარებს თუ არა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ხათუნა დარასელია-ამ კომისიას ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა დაუფინანსებია რასაც მივესალმები და მიხარია, რომ ვარ ამ კომისიის წევრი. რაც შეეხება დღევანდელ სხდომას, მივესალმები მხატვარ ლინდა ჯიქიას დაფინანსებას, წარმოდგენილ ნახატებში კარგად ჩანს მისი განსაკუთრებული ნიჭი, რასაც ხელშეწყობა ნამდვილად სჭირდება. იგივე შემიძლია ვთქვა ვიქტორია გუგუჩიაზე, წარმატებული სტუდენტია რომელიც სწავლობს გერმანიაში და ჩვენი ხელშეწყობა ნამდვილად წაადგება მას უკეთ განვითარებაში. რაც შეეხება უტა ალანიას, ვფიქრობ უფრო მეტი ინფორმაციაა საჭირო. რამდენადაც ცნობილია, სასკოლო განათლების შემთხვევაში, დოკუმენტაციას საქართველოს განათლების ხარისხის მართვის აღიარება სჭირდებოდა. ვფიქრობ, დამატებით შესწავლას საჭიროებს. თუკი კომისიის იურისტი წევრები შეისწავლიან ამ საკითხს და დაგვიდასტურებენ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. დღეს კი, უბრალოდ, თავს შევიკავებ.

გიგლა სულამანიძე- წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის წესს. დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილი განცხადებები, როგორც უცხოეთში სწავლის ხელშეწყობა, ისე დამწყები მხატვრის ფულადი წახალისება

მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის. რასაც მივესალმები და მხარს ვუჭერ კომისიის გადაწყვეტილებას.

დაადგინეს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით:

1. ლილი გუგუჩიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1500 ლარის ოდენობით.
2. ლინდა ჯიქიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1200 ლარის ოდენობით.
3. უტა ალანიას საკითხის განხილვისას კომისიის წევრებს შორის გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა უნივერსიტეტის აკრედიტაციის შესახებ, კერძოდ ეთხოვოს განმცხადებელს უნივერსიტეტის შესახებ აღნიშნული დოკუმენტის მოწოდება. უტას დაფინანსების საკითხი ხელახლა განიხილება მომდევნო სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ზამირა ღადუა

წევრები: კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ლაშა ჯიქია

ხათუნა დარასელია

ია ეხვაია

დავით შამათავა

ნათია ფიფია

ნინო სიჭინავა

ბელა ხუბუა

მდივანი:

17.05.2022 წელი.